საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალობა აღმავალთა

ზეიმითა ვიზეიმებ, ვილხინებ და ვიგალობებ,
ქრისტეს მადლით გავიმარჯვებ, ბოროტებას დავამარცხებ.
იუბილით გავიხარებ, მამაღმერთსა გულით ვაქებ,
მუშაობით, ქრისტესათვის საქართველოს მოვამზადებ.

მადლსა და წყალობასა მამაღმერთი უხვად აძლევს,
ყოველ კაცსა თავმდაბალსა, ციურ ნიჭით მის გულს ავსებს.
ყველა ქრისტეს მოყვარულსა - გონებას და სიბრძნეს აძლევს,
რომლითაცა ბნელ ძალებსა, მჭრელი სიტყვით დაამარცხებს.

ამისათვის მიხარია, ღვთის სინათლით ვიარები,
არა ჩემი ვაჟკაცობით, ანდა კარგი საქმეებით;
მდიდარია ქრისტე ღმერთი, უხვადა აქვს ცის განძები,
გულუხვადა ღებულობენ ალალ გულით მაძებრები.

მადლითა და სიყვარულით მამაღმერთი მდიდარია,
ნეტარება ყოველ კაცსა, ვინც მისი გზით იარება.
ქრისტეს მსხვერპლი გოლგოთაზე ყველასათვის ზიარია,
ვინაც ითხოვს შებრალებას, მისთვის არის მდინარება.

უფალ ქრისტეს ვიხსენიებ ქებითა და დიდებითა,
ვინც სიცოცხლე მომანიჭა თავის სისხლის გაღებითა.
მომამაღლა ცის სივრცემდე სიბნელიდან აყვანითა,
მან შემმოსა სამოსელით, კაშკაშა და ბრწყინვალითა.

მამაღმერთის სიყვარულით დავტკბები და გავიხარებ,
ცის შემქმნელი და მიწისა, რომელზეც მე დავიარებ;
შუამავლობას ვეწევი, ამითაც კი გავიხარებ,
ადამიანს მივუთითებ, ქრისტეს სიტყვით დავარიგებ.

მალე ჩამოვა ძე ღმერთის, რომ მშვიდობა დაამყაროს,
უსამართლობა გააქროს, და სიწყნარე დააარსოს;
სიბნელესაც ის დათრგუნავს, რომ სინათლემ გაანათოს;
ყველა მტერი, ღვთის მოძულე, სამუდამოდ რომ გააქროს.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ გადარჩეს კაცი მტრისგან, ეშმაკისგან დაჩაგრული;
შეუერთდეს ღვთის შვილებსა, გაახაროს მანაც გული,
მხიარულად იგალობოს, მოამზადოს ცისთვის სული,
ქრისტეს მადლობა შესწიროს, რომ გახადა კაცი სრული.

რაც ადამმა დაგვიკარგა,ქრისტე არის აღმდგენელი,
რაც ურჩობით ადამს ერგო, ის დაგვატყდა საშინელი;
დღევანდლამდე კაცი იზრდის, ბოროტისგან არს ხნეული,
ქრისტეს გარეშე მუდმივად, შენც გაგხადა მან ეული.

ამისათვის ძმურად გირჩევ, ძოიქეცი ცოდვებისგან,
მიაშურე ქრისტე ღმერთსა, რომ დაგიხსნას ყოველ მტრისგან;
სიყვარულით გამოგიხსნის, შებოჭილი სატანისგან,
და შეგამკობს სულიწმიდით მოვლენილი ძე ღმერთისგან.

გამიგონე,საყვარელო,არ გატყუებ, თვით ვიგემე,
რასაც ძმურად შენ გთავაზობ, თვით იგივე განვიცადე;
ყველა ნიჭი ბიბლიაში შენთვის არის, წარიტაცე!
მტერს ნუ უსმენ, ვინც რომ გეტყვის:"ჩემთან იყავ, დაიცადე".

მას არა სურს შენი ბედი სიხარულით ააშენო,
შენი სახლი და ოჯახი სიყვარულით დაამშვენო;
მშვიდობით და მუყაითად სახლი, კარი გააშენო,
ბოროტების დამარცხებით შენ სიცოცხლე გაამშვენო.

მაშ იცოდე მტკიცედ ესა, რომ გიღიმის შენაც ბედი,
ახლოს არის, ვინემ ფიქრობ, ეს სიცოცხლე და იმედი.
ნუ აჰყვები ურწმუნოებს, ვინაც არის ცრუ და ყბედი,
ქრისტე თვითონ გელოდება, ნუ აყოვნებ, იყავ ქმედი.

ამისათვის საჭიროა, რომ ღმერთისა შვილი გავხდეთ,
ზეციერი აღმოშობით ქრისტეს მიერ ფეხზე დავდგეთ;
ანტიქრისტეს გაძევებით ქრისტეს მიერ ღმერთთან წავდგეთ,
უმართლობას შევებრძოლოთ,სიბილწისგან განზე გავდგეთ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველ ცოდვას და სიცრუეს, მე სასტიკად ვერიდები,
და სანატრელ ჭეშმარიტი სინათლისკენ ვიარები;
ამიტომაც ღმერთის სიტყვით, შეპირებულს არ ავცდები;
ძე ღმერთისა შენც მოგიხმობს, მოწოდებას ნუ ასცდები.

ადამისგან ჩატეხილი ხიდი ქრისტემ ააშანა,
შეგვაერთა ამით ღმერთსა და ერთობით დაამშვენა;
მსოფლიოზე ეკლესია, ბაღებივით გააშენა,
გიძახის და მოგიწოდებს ასეთ ბაღში ახლა შენა.

ნუ უარჰყოფ მოწოდებას, იყავ კაცი გონიერი,
რომ ამ ქვეყნად იარსებო, როგორც კაცი ზომიერი;
ამას ქრისტე შენც გთავაზობს, რომ გაგხადოს მშვენიერი,
შენი გამოყენებითაც გაახაროს შენი ერი.

ამის გარეშე ამ სოფლად სიცრუე და სიყალბეა,
ამპარტავანთა ბუნაგი, მზაკვრობა და სიბილწეა;
ღვთის სინათლის მოძულენი, მათი სიტყვა სიბნელეა,
ქლესა ენით გიზიდავენ, მათგან დახსნა -ო, ძნელია.

თავს ნუ მისცემ მოტყუებას, ულმერთოებს ნუ ენდობი,
ვერ მიიღებ შეპირებულს, რასაც მათგან ელოდები;
თვით ცოდვებში გახვეულებს, ნურასოდეს დაენდობი,
მუხთალთა წრე არ დაგინდობს, მათ მახეში გაებმები.

მეერგესის ეკლესია სულიწმიდით არს ცნობილი,
ისე, როგორც მაშინ იყო ასოცამდე შეკრებილი;
ძე ღმერთისამ მოუვლინა, რაც აღუთქვა, სული ტკბილი,
სულიწმიდის იარაღით, ყველა იქნა შეჭურვილი.

სიკეთით და პატივცემით ხალხი ქრისტეს მიაახლეს,
უსჯულობას შეებრძოლნენ, სიყვარული გაავრცელეს;
მრავალს თვალი აუხილეს, სიცოცხლის გზა მათ ახილეს,
უსასყიდლოდ მახინჯებსა, მათ სიცოცხლე გაუახლეს.

სტოკჰოლმი

ანტონი